F 412/1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა

№ 3 მარტი 1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნიზმის ხუროთმოძღვრები.

მხატვარი ე. კიბრიკი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 3 (20) მარტი 1953 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი"

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

პარტიის ყველა წევრს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უდიდესი მწუხარების გრძნობით აუწყებენ პარტიას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, რომ 5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

F1492

შეწყდა ლენინის თანამებრძოლის და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა.

სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა კომუნისტების მძლავრი პარტია, აღზარდა და გამოაწრთო იგი; ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. განაგრძობდა რა ლენინის უკვდავ საქმეს, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ამხანაგმა სტალინმა მეორე მსოფლიო ომში ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ფაშიზმზე გამარჯვებამდე, რამაც ძირეულად შეცვალა მთელი საერთაშორისო ვითარება. ამხანაგმა სტალინმა შეაიარაღა პარტია და მთელი ხალხი სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამით.

გარდაცვალება ამხანაგ სტალინისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნიზმის დიადი საქმისადმი თავდადებულ სამსახურს, უმძიმესი დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ცნობა ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შესახებ ღრმა მწუხარებას გამოიწვევს ჩვენი სამშობლოს მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენტთა და ყველა მშრომელის გულში, ჩვენი ძლევამოსილი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა გულში, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელთა გულში.

ამ გლოვის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება დიად ძმურ ოჯახში ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობით ეკიდება და მხურვალე სიყვარულით არის გამსჭვალული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რადგან იცის, რომ პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ხალხის ინტერესებისადმი სამსახური.

მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენტები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი განუხრელად მისდევენ ჩვენი პარტიის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს და რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება. კომუნისტური პარტიის ამ პოლიტიკის სისწორე შემოწმებულია ათეული წლების ბრძოლით, მან საბჭოთა ქვეყნის მშრომელებისათვის უზრუნველყო სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებანი. ამ პოლიტიკით შთაგონებული საბჭოთა კავშირის ხალხები პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდიან წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ მოსახლეობის ყველა ფენის—მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენტების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა და ძლიერება იზრდება და მტკიცდება, რომ პარტია ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს და დაზვერვის ორგანოებს, რათა განუწყვეტლივ ვამაღლოთ ჩვენი მზადყოფნა იმისათვის, რომ გამანადგურებელი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს.

საჯარო ბიბლიოთეკა

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში 1953 წლის 6 მარტს. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკა იყო და არის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევი პოლიტიკა, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირის ხალხები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგულნი, განამტკიცებენ და ავითარებენ ძმურ მეგობრობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, მეგობრულ კავშირს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დიადი წარმმართველი, ხელმძღვანელი ძალაა ჩვენი კომუნისტური პარტია. პარტიის რიგების ფოლადისებრი ერთიანობა და მონოლითური დარაზმულობა მისი ძალისა და ძლიერების მთავარი პირობაა. ჩვენი ამოცანაა თვალისჩინივით დავიცვათ პარტიის ერთიანობა, აღვზარდოთ კომუნისტები როგორც აქტიური პოლიტიკური მებრძოლნი პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის კავშირი ყველა მშრომელთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან, რადგან ხალხთან ეს განუყრელი კავშირია ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა.

პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ის მიაჩნია, რომ კომუნისტები და ყველა მშრომელნი აღზარდოს დიდი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მიმართავენ რა ამ გლოვის დღეებში პარტიასა და ხალხს, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტია და ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელნი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიად, ყოვლისმძლე მოძღვრებას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

1953 წლის 5 მარტი



ამხანაგ ი. ბ. სტალინის კუბოსთან.

სამედიცინო დასკვნა

ი. ბ. სტალინის ავადმყოფობისა და გარდაცვალების შესახებ

პირველ მარტს ღამით ი. ბ. სტალინს სისხლი ჩაექცა ტვინში (მის მარცხენა ნახევარსფეროში) ჰიპერტონიული ავადმყოფობისა და ათეროსკლეროზის ნიადაგზე. ამის შედეგად დაიწყო სხეულის მარჯვენა ნახევრის დამბლა და ცნობიერების მყარი დაკარგვა. ავადმყოფობის პირველ დღესვე გამომჟღავნდა სუნთქვის მოშლის ნიშნები ნერვული ცენტრების ფუნქციის დარღვევის გამო. ეს დარღვევა დღითიდღე ძლიერდებოდა; მას ჰქონდა ეგრეთწოდებული პერიოდული სუნთქვის ხასიათი ხანგრძლივი პაუზებით (ჩეინ-სტოქსის სუნთქვა). ორ მარტს ღამით სუნთქვის დარღვევა დროდადრო საშიშ ხასიათს იღებდა. ავადმყოფობის დაწყებიდანვე გამომჟღავნდა აგრეთვე მნიშვნელოვანი ცვლილებანი გულისა და სისხლძარღვების სისტემის მხრივ, სახელდობრ, სისხლის მაღალი წნევა, მაჯისცემის რიტმის გახშირება და დარღვევა (მოციმციმე არიტმია) და გულის გაგანიერება. სუნთქვის და სისხლის მიმოქცევის მოშლის თანდათან გაძლიერებასთან დაკავშირებით უკვე სამი მარტიდან გამოჩნდა ჟანგბადის ნაკლებობის ნიშნები. ავადმყოფობის პირველი დღიდან აიწია ტემპერატურამ და აღინიშნა მომატებული ლეიკოციტოზი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ფილტვებში ანთების კერების განვითარების მაჩვენებელი.

ავადმყოფობის უკანასკნელ დღეს, საერთო მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებასთან ერთად, დაიწყო გულისა და სისხლძარღვების მძიმე მწვავე ნაკლებობის განმეორებითი შეტევები (კოლაპსი). ელექტროკარდიოგრაფიულმა გამოკვლევამ შესაძლებელი გახადა დადგენილიყო გულის გვირგვინოვან ძარღვებში სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა და გულის კუნთის კეროვან დაზიანებათა აღმოცენება.

ხუთ მარტს დღის მეორე ნახევარში ავადმყოფის მდგომარეობა განსაკუთრებით სწრაფად გაუარესდა: სუნთქვა ზერელე და მკვეთრად გახშირებული გახდა, მაჯისცემის სიხშირემ მიაღწია 140-150-ს წუთში, მაჯის ავსება დაეცა.

21 საათსა და 50 წუთზე, გულის და სისხლძარღვების და სუნთქვის მზარდი ნაკლებობის მოვლენებისას, ი. ბ. სტალინი გარდაიცვალა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ფ. ტრეტიაკოვი,

კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს უფროსი
ი. ი. კუპერინი,

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი თერაპევტი
პროფესორი პ. ე. ლუკომსკი,

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი
ნ. ვ. კონოვალოვი,

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი
ა. ლ. მიასნიკოვი,

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი
ე. მ. ტარეევი,

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი
პროფესორი ი. ნ. ფილიმონოვი,

პროფესორი ი. ს. გლაზუნოვი,

პროფესორი რ. ა. ტკაჩოვი,

დოცენტი ვ. ი. ივანოვ-ნეზნამოვი.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვა

სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე

1953 წლის 9 მარტს მოსკოვში წითელ მოედანზე მოხდა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის

დაკრძალვა.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს.

შემდეგ სიტყვას ამბობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

შემდეგ სიტყვით გამოდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

ძვირფასო თანამემამულენო, ამხანაგებო, მეგობრებო!

ძვირფასო საზღვარგარეთელო ძმებო!

ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა კაცობრიობამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს. დაასრულა თავისი სახელოვანი ცხოვრების გზა ჩვენმა მასწავლებელმა და ბელადმა, კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

ამ მძიმე დღეებში საბჭოთა ხალხის დიდ მწუხარებას იზიარებს მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის, დედამიწის ყველა ნაწილის ხალხთა უფართოესი მასებისათვის. განუზომელია ამხანაგ სტალინის მოღვაწეობის სიდიადე და მნიშვნელობა საბჭოთა ხალხისათვის და ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის. სტალინის საქმეები იცოცხლებენ საუკუნეებში, და მადლიერი შთამომავალნი, ისევე როგორც ჩვენ თქვენთან ერთად, დიდებით მოიხსენიებენ სტალინის სახელს.

ამხანაგმა სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისა და კაბალისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, გამანადგურებელი ომებისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეს, ქვეყნად მშრომელი ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს.

ამხანაგმა სტალინმა, ჩვენი ეპოქის დიდმა მოაზროვნემ, შემოქმედებითად განავითარა ახალ ისტორიულ პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. სტალინის სახელი სამართლიანად დგას კაცობრიობის მთელ ისტორიაში უდიდესი ადამიანების — მარქსის, ენგელსის, ლენინის სახელების გვერდით.

ჩვენი პარტია მისდევს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას, რომელიც პარტიასა და ხალხს ანიჭებს უძლეველ ძალას, ანიჭებს იმის ცოდნას, თუ როგორ გაკაფოს ახალი გზები ისტორიაში.

ლენინი და სტალინი მრავალი წლის მანძილზე იატაკქვეშეთის უძნელეს პირობებში ეწეოდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის უღლისაგან, მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობისაგან რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისათვის. ლენინისა და სტალინის მეთაურობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა უდიდესი მობრუნება კაცობრიობის ისტორიაში, ბოლო მოუღო კაპიტალიზმის წყობილებას ჩვენს ქვეყანაში და გამოვიდა ახალ გზაზე — სოციალიზმის გზაზე.

განაგრძობდა რა ლენინის საქმეს და განუწყვეტლივ ავითარებდა რა ლენინურ მოძღვრებას, რომელიც პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს უნათებს წინსვლის გზას, ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ქვეყანა მიიყვანა სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე, რამაც ადამიანთა საზოგადოების არსებობის მრავალი ათასეული წლის მანძილზე პირველად უზრუნველყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა.

ლენინმა და სტალინმა დააარსეს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო. ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად შრომობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ კვლავაც დაუცხრომლად და ყოველმხრივ განვამტკიცოთ ჩვენი დიდი სოციალისტური სახელმწიფო, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯი.

ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხის — ეროვნული საკითხის გადაწყვეტა. ეროვნული საკითხის უდიდესმა თეორეტიკოსმა ამხანაგმა სტალინმა ისტორიაში პირველად, უზარმაზარი მრავალეროვანი სახელმწიფოს მასშტაბით, უზრუნველყო საუკუნეობრივი ეროვნული შუღლის ლიკვიდაცია. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ დაძლია წინათ ჩაგრული ხალხების ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, ერთიან ძმურ ოჯახად დარაზმა საბჭოთა კავშირის ყველა ერი და გამოჭედა ხალხთა მეგობრობა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცება. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის პირობებში ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი არც შინაური, არც გარეშე მტერი.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით იქმნებოდა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა არმია. ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაძლიერება ამხანაგ სტალინის დაუცხრომელი ზრუნვის საგანი იყო. საბჭოთა არმიამ თავისი დიდი მხედართმთავრის — გენერალისიმუს სტალინის მეთაურობით ისტორიული გამარჯვება მოიპოვა მეორე მსოფლიო ომში და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ძლევამოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები. ჩვენ უნდა ვიყოლიოთ ისინი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, რათა გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ მტრის ყოველგვარ თავდასხმას.

ამხანაგ სტალინის დაუცხრომელი შრომის შედეგად, მის მიერ შემუშავებული გეგმებით, ჩვენმა პარტიამ წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, შექმნა ახალი ეკონომიკური წყობილება, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები და უმუშევრობა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველვყოთ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავება. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ სოციალისტური მრეწველობა, ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და სიმტკიცის ბურჯი. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ საკოლმეურნეო წყობილება, მივაღწიოთ საბჭოთა ქვეყნის ყველა კოლმეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და აყვავებას, განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი.

საშინაო პოლიტიკის დარგში ჩვენი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ განუხრელად უზრუნველვყოფდეთ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ჩვენი პარტიისა და მთავრობისათვის კანონია მოვალეობა — შეუნელებლად ზრუნავდნენ ხალხის კეთილდღეობისათვის, მის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს და გამოაწრთეს ჩვენი პარტია, როგორც საზოგადოების დიადი გარდამქმნელი ძალა. ამხანაგი სტალინი მთელ თავის სიცოცხლეში იმას გვასწავლიდა, რომ არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე კომუნისტური პარტიის წევრის წოდება. მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა დაიცვა ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა, მონოლითურობა და დარაზმულობა.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ კვლავაც განვამტკიცოთ დიადი კომუნისტური პარტია. ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა მისი რიგების ერთიანობა და დარაზმულობა, ნებისა და მოქმედების ერთიანობა, პარტიის წევრთა უნარი — შეუერთონ თავიანთი ნება პარტიის ნებასა და სურვილებს. ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა ხალხის მასებთან განუყრელი კავშირი. პარტიისა და ხალხის ერთიანობის საფუძველია პარტიის მუდმივი სამსახური ხალხის ინტერესებისადმი. ჩვენ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ პარტიის ერთიანობას, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის განუყრელი კავშირი ხალხთან, აღვზარდოთ კომუნისტები და ყველა მშრომელნი მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

დიდი სტალინის წინამძღოლობით შექმნილია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი. ამ ბანაკში მჭიდრო ძმური ერთიანობით საბჭოთა ხალხთან ერთად წინ მიდიან დიდი ჩინელი ხალხი, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოძმე ხალხები. შეუპოვარი ბრძოლით იცავს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას გმირი კორეელი ხალხი. მამაცურად იბრძვის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ვიეტნამის ხალხი.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ დავიცვათ და განვამტკიცოთ ხალხთა უდიდესი მონაპოვარი — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, განვამტკიცოთ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და სოლიდარობა. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის მარადიული, ურღვევი ძმური მეგობრობა დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან.

ყველა ქვეყნის ხალხები ამხანაგ სტალინს იცნობენ როგორც მშვიდობის დიდ მედროშეს. ამხანაგი სტალინი თავისი გენიის უდიდეს ძალას მიმართავდა იმისაკენ, რომ დაეცვა მშვიდობის საქმე ყველა ქვეყნის ხალხთათვის. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა ახალი ომის გაჩაღების გადამწყვეტი დაბრკოლებაა და შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. საბჭოთა კავშირი მუდამ გამოდიოდა და გამოდის მშვიდობის საქმის დასაცავად, რადგან მისი ინტერესები განუყოფელია მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისაგან. საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და ახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების თანმიმდევრულ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს ლენინურ-სტალინური დებულებიდან იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ორი სხვადასხვა სისტემის—კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ხანგრძლივი თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება.

დიდი სტალინი ჩვენ გვზრდიდა ხალხის ინტერესებისადმი უსაზღვროდ ერთგული სამსახურის სულისკვეთებით. ჩვენ ხალხის ერთგული მსახურნი ვართ, ხოლო ხალხს სურს მშვიდობა, სძულს ომი. დაე წმიდათა წმიდა იყოს ყველა ჩვენგანისათვის ხალხის ის სურვილი, რომ არ დავუშვათ მილიონობით ადამიანის სისხლის დაღვრა და უზრუნველვყოთ ბედნიერი ცხოვრების მშვიდობიანი მშენებლობა!

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ არ დავუშვათ ახალი ომი, მშვიდობიანად ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ, რომ ყველაზე სწორი, საჭირო და სამართლიანი საგარეო პოლიტიკაა ყველა ხალხს შორის მშვიდობის პოლიტიკა, დაფუძნებული ურთიერთნდობაზე, ქმედითი პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა ფაქტებს და დადასტურებულია ფაქტებით. მთავრობები ერთგულად უნდა ემსახურონ თავიანთ ხალხებს, ხოლო ხალხებს სწყურიათ მშვიდობა, ისინი წყევლიან ომს. დამნაშავენი იქნებიან ის მთავრობები, რომლებიც მოისურვებენ ხალხების მოტყუებას, წინააღუდგებიან ხალხთა იმ წმიდა სურვილს, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა და არ დავუშვათ ახალი სისხლისღვრა. კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ, რომ ხალხთა შორის მშვიდობის პოლიტიკა ერთადერთი სწორი, ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი პოლიტიკაა.

ამხანაგებო! ის, რომ ჩვენთან აღარ არის ჩვენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი, ყველა საბჭოთა ადამიანს აკისრებს მოვალეობას—ამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად, ზარდონ თავიანთი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საერთო საქმეში.

საბჭოთა კავშირის მშრომელები ხედავენ, მათ იციან, რომ ჩვენი მძლავრი სამშობლო ახალი წარმატებებისაკენ მიდის. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

საბჭოთა ხალხი თავისი დაუშრეტელი ძალებისა და შესაძლებლობების მტკიცე რწმენით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. მსოფლიოში არ მოიპოვებიან ისეთი ძალები, რომელთაც შეეძლოთ შეაჩერონ საბჭოთა საზოგადოების ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ!

მშვიდობით, ჩვენო მასწავლებელო და ბელადო, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, მშობლიურო ამხანაგო სტალინ!

წინ ლენინ—სტალინის დიადი საქმის სრული გამარჯვებისაკენ!

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ძნელია სიტყვით გამოითქვას დიდი მწუხარების გრძნობა, რასაც ამ დღეებში განიცდიან ჩვენი პარტია და ჩვენი ქვეყნის ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

აღარ გვყავს სტალინი — ლენინის დიდი თანამებრძოლი და მისი საქმის გენიალური განმგრძობი. აღარა გვყავს ყველა საბჭოთა ადამიანის, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელის ყველაზე მახლობელი და მშობლიური ადამიანი.

დიდი სტალინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ლენინიზმისადმი ერთგულების შთამაგონებელი მაგალითია, მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხისადმი, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია.

დიდმა ლენინმა დააარსა ჩვენი პარტია, მიიყვანა იგი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე.

დიდ ლენინთან ერთად მისი გენიალური თანამებრძოლი სტალინი განამტკიცებდა ბოლშევიკურ პარტიას და ქმნიდა მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინი თითქმის ოცდაათ წელიწადს მიუძღოდა ჩვენს პარტიასა და ქვეყანას ლენინის გზით. სტალინმა დაიცვა ლენინიზმი მრავალრიცხოვანი მტრებისაგან, განავითარა და გაამდიდრა ლენინის მოძღვრება ახალ ისტორიულ პირობებში. დიდი სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო ჩვენი ხალხისათვის სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში და საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში. კომუნიზმის დიდმა ხუროთმოძღვარმა, გენიალურმა ბელადმა ჩვენმა მშობლიურმა სტალინმა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამით შეაიარაღა ჩვენი პარტია და ხალხი.

ამხანაგებო! უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, განუზომლად მძიმეა დანაკლისი, მაგრამ არც ამ სიმძიმით შედრკება კომუნისტური პარტიის ფოლადისებური ნებისყოფა, არ შეირყევა მისი ერთიანობა და სიმტკიცე კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის რევოლუციური თეორიით შეიარაღებულმა, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესებისათვის ბრძოლის ნახევარი საუკუნის ბრძნული გამოცდილებით აღჭურვილმა ჩვენმა პარტიამ იცის, თუ როგორ გაუძღვეს საქმეს, რათა უზრუნველყოს კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ლენინისა და სტალინის დიადი სკოლა გაიარეს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმეში.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ქარცეცხლში, ნგრევისა და შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის ძნელ წლებში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში, დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, როცა წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი და მთელი კაცობრიობის ბედი, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, რომლებიც სათავეში ედგნენ და წარმართავდნენ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას, პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის უდიდესი გამოცდილება შეიძინეს.

ამიტომ საბჭოთა კავშირის ხალხებს შეუძლიათ კვლავაც სრული რწმენით ენდონ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს და თავიანთ საბჭოთა მთავრობას.

საბჭოთა სახელმწიფოს მტრები ვარაუდობენ, რომ მძიმე დანაკლისი, რაც ჩვენ განვიცადეთ, დაქსაქსულობასა და დაბნეულობას გამოიწვევს ჩვენს რიგებში.

მაგრამ მათი ვარაუდი ამაოა: მათ სასტიკად გაუცრუვდებათ იმედი.

ვინც ბრმა არ არის, ხედავს, რომ ჩვენი პარტია მისთვის მძიმე დღეებში კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს, რომ იგი ერთიანი და ურყევია.

ვინც ბრმა არ არის, ხედავს, რომ ამ გლოვის დღეებში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, დიდ რუს ხალხთან ძმური ერთიანობით, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას.

ჩვენს საშინაო პოლიტიკას საფუძვლად უდევს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა, ერთიანი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სისტემაში ყველა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკის მტკიცე გაერთიანება. ამ პოლიტიკის მიზანია ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცება, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და მთელი საბჭოთა საზოგადოების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ჩვენი ქვეყნის მუშებს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას შეუძლიათ მშვიდად და რწმენით იმუშაონ, იციან რა, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ მზრუნველობით დაიცავს სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილ მათს უფლებებს.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელი და გასაგებია. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ლენინმა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა განსაზღვრა როგორც მშვიდობის პოლიტიკა.

მშვიდობის ამ პოლიტიკას განუხრელად ახორციელებდა ლენინის საქმის დიდი განმგრძობი ჩვენი ბრძენი ბელადი სტალინი.

საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა კვლავაც იქნება მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ლენინურ-სტალინური პოლიტიკა, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან ნაცვალგების საფუძველზე საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა.

საბჭოთა მთავრობა კიდევ უფრო განამტკიცებს ძმურ კავშირსა და მეგობრობას, თანამშრომლობას მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის საერთო ბრძოლაში, ფართო ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ჩვენს საზღვარგარეთელ ძმებსა და მეგობრებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის, ლენინ — სტალინის დროშის ერთგული კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირის ხალხები კვლავაც განამტკიცებენ და განავითარებენ მეგობრულ ურთიერთობას კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

მეგობრობის დიდი გრძნობა აერთებს ჩვენს ხალხს გმირ კორეელ ხალხთან, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

ჩვენი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენ, რომ დაუცხრომლად ვამაღლებდეთ და ვამახვილებდეთ პარტიისა და ხალხის სიფხიზლეს საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ხრიკებისა და ოინების მიმართ.

ახლა ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სიფხიზლე. ნურავინ იფიქრებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტრები შეძლებენ მოუმზადებელს მოგვისწრონ.

საბჭოთა სამშობლოს დასაცავად ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალები აღჭურვილი არიან ყველა სახეობის თანამედროვე იარაღით. ჩვენი ჯარისკაცები და მატროსები, ოფიცრები და გენერლები, დიდი სამამულო ომის გამოცდილებით აღჭურვილნი, შეძლებენ სათანადოდ დახვდნენ ყოველ აგრესორს, რომელიც გაბედავს თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას.

ჩვენი სახელმწიფოს ძალა და უძლეველობა მარტო ის როდია, რომ მას ჰყავს ბრძოლებში გამოწრთობილი, დიდებით მოსილი არმია.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაა საბჭოთა ხალხის ერთიანობა, მისი ნდობა კომუნისტური პარტიისადმი, — საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალისადმი, ხალხის ნდობა თავისი საბჭოთა მთავრობისადმი. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ ხალხის ამ ნდობას.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას იმ უაღრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრებისადმი შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

ამ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთია ის, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაინიშნა ლენინის ნიჭიერი მოწაფე და სტალინის ერთგული თანამებრძოლი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ნათლად გამოხატავენ სრულ ერთიანობასა და დარაზმულობას პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში.

ეს ერთიანობა და დარაზმულობა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობაში იმის საწინდარია, რომ წარმატებით განხორციელდება საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ წლების მანძილზე შეიმუშავეს ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით.

სტალინმა, ისევე როგორც ლენინმა, ჩვენს პარტიასა და ქვეყანას დაუტოვა დიადი მემკვიდრეობა, რომელსაც თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და დაუცხრომლად ვამრავლებდეთ.

დიდმა სტალინმა აღზარდა და თავის გარშემო დარაზმა კოჰორტა ბრძოლებში ნაცადი ხელმძღვანელებისა, რომლებიც დაუფლებულნი არიან ხელმძღვანელობის ლენინურ-სტალინურ ოსტატობას, რომლებსაც დაეკისრათ ისტორიული პასუხისმგებლობა — ძლევამოსილად დაამთავრონ ის დიადი საქმე, რაც დაიწყო ლენინმა და რაც წარმატებით განაგრძო სტალინმა.

ჩვენი ქვეყნის ხალხებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა არ დაიშურებენ თავიანთ ძალ-ღონეს და თავიანთ სიცოცხლესაც, რათა შეინარჩუნონ პარტიის რიგებისა და მისი ხელმძღვანელობის ფოლადისებური ერთიანობა, განამტკიცონ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, მუდამ დაიცვან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულება და ლენინისა და სტალინის ანდერძის შესრულებით კომუნიზმამდე მიიყვანონ სოციალიზმის ქვეყანა.

სამარადისო დიდება ჩვენს საყვარელ, ძვირფას ბელადსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს!

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს გამოაქვთ კუბო იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხედრით კავშირების სახლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგლოვიარო კორტეჟი წითელ მოედანზე.

(საკდესის ფოტოქრონიკა)

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ამ დღეებში ჩვენ ყველანი განვიცდით დიდ მწუხარებას — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებას, დიდი ბელადისა და ამასთან მახლობელი, მშობლიური, უსაზღვროდ ძვირფასი ადამიანის დაკარგვას. და ჩვენ, მისი ძველი და ახლო მეგობრები, და მილიონობით საბჭოთა ადამიანი, ისევე როგორც ყველა ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშრომელები, ვეთხოვებით დღეს ამხანაგ სტალინს, რომელიც ყველას ესოდენ გვიყვარდა და რომელიც მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში.

ამხანაგი სტალინი თავის თავს უწოდებდა ლენინის მოწაფეს. ლენინთან ერთად ქმნიდა იგი და ააშენა ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია, მასთან ერთად ხელმძღვანელობდა იგი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ჩვენს ქვეყანაში მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის დასამხობად, მასთან ერთად ქმნიდა და ააშენა ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, მასთან ერთად ჩაუყარა საფუძველი დიდი და მცირე ხალხების ჩვენს თვალწინ მზარდ ძმურ თანამშრომლობასა და გაერთიანებას. სტალინი ლენინის დიადი საქმის დიდი განმგრძობია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი, საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში და გააჩაღა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის დიადი პროგრამის განხორციელება; მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ფაშიზმზე მეორე მსოფლიო ომში და ამით გადაჭრით შეასუსტა სსრ კავშირის გარეშე მტრების ძალები; გამოიყვანა საბჭოთა კავშირი საერთაშორისო იზოლაციის მდგომარეობიდან და უზრუნველყო მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა უძლეველი ბანაკის შექმნა, რომელთა მოსახლეობა 800 მილიონ კაცს შეადგენს; ჩვენს ქვეყანას გადაუშალა კომუნისტური საზოგადოების აშენების ნათელი პერსპექტივები, კომუნისტური საზოგადოებისა, რომელიც დამყარებულია ადამიანთა თავისუფალ შრომაზე, ნამდვილ თანასწორობასა და ძმობაზე.

ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე ვცხოვრობდით და ვმუშაობდით ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენ ლენინისა და სტალინის აღზრდილნი ვართ. ჩვენ ლენინისა და სტალინის მოწაფეები ვართ. და ჩვენ მუდამ გვეხსომება ის, რასაც უკანასკნელ დღეებამდე გვასწავლიდა სტალინი, რადგან ჩვენ გვსურს ვიყოთ ლენინის ერთგული და ღირსეული მოწაფეები და მიმდევრები, სტალინის ერთგული და ღირსეული მოწაფეები და მიმდევრები.

ამხანაგ სტალინის მთელი ცხოვრება, რომელიც გაშუქებულია კომუნიზმისათვის შთაგონებული სახალხო მებრძოლის დიადი იდეების მზის სინათლით, ცოცხალი და ცხოველმყოფელი მაგალითია ჩვენთვის.

სტალინი ხალხიდან იყო გამოსული. მუდამ გრძნობდა თავის სისხლხორცეულ კავშირს ხალხთან, მუშათა კლასთან და მშრომელ გლეხობასთან, ხალხს ახმარდა მთელ თავის მძლავრ ძალ-ღონეს, მთელ თავის დიდ გენიას. სტალინმა, ჯერ კიდევ ჭაბუკმა, თავისი ნათელი გონებით დაინახა და ღრმად შეიგნო, რომ ჩვენს დროში ხალხს შეუძლია ბედნიერი ცხოვრება მოიპოვოს მხოლოდ კომუნიზმისათვის ბრძოლის გზით. სწორედ ამან განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა. სტალინმა მთელი ძალ-ღონე, მთელი თავისი სიკოცხლე მთლიანად მოახმარა კომუნიზმისათვის ბრძოლას, მშრომელთა ბედნიერებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულ ბრძოლას.

მუშათა მასებში კომუნისტ-რევოლუციონერის ყოველდღიურ ძნელ მოღვაწეობას სტალინი მუდამ აერთებდა მარქსიზმის თეორიის ღრმად შესწავლასთან.

ასეთი იყო იგი ახალგაზრდობის წლებში თბილისში, ბაქოში. ასეთი იყო იგი რუსეთის რევოლუციის ქარიშხლიან წლებში და მეფის რეაქციის ძნელ წლებში, როცა იგი მტკიცედ იყო დაკავშირებული პეტერბურგის მუშებთან, მუდამ განიცდიდა რეპრესიებს, დევნას, პატიმრობასა და გადასახლებას.

ამხანაგ სტალინის, როგორც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორუპოვარი ორგანიზატორისა და მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური თეორეტიკოსის, განსაკუთრებული ნიჭი სავსებით გაიშალა რევოლუციის და სოციალიზმის მშენებლობის წლებში.

ამ წლების მანძილზე ჩვენი პარტია გაიზარდა, ამაღლდა და გადაიქცა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის დიდ ხელმძღვანელ ძალად და მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში წამყვანი ძალის მნიშვნელობა მოიპოვა. ამ წლების მანძილზე საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის პრაქტიკული განხორციელების ნიმუში გახდა, — ამ წლების მანძილზე ჩვენი სახელმწიფო, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობაზე დაყრდნობით, განმტკიცდა, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის სახელმწიფო და დაადგა კომუნისტური საზოგადოების შექმნის გზას. მთელი ამ საქმისადმი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძალების მთელი განვითარებისადმი ხელმძღვანელობაში გიგანტური როლი ეკუთვნის ამხანაგ სტალინს.

სტალინი მთელი ამ წლების მანძილზე სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის მარტო ყოველდღიურ ხელმძღვანელობას როდი ახორციელებდა. იგი მუდამ მუშაობდა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის თეორიულ პრობლემებზე და მთლიანად საერთაშორისო განვითარების პრობლემებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერების სინათლით აშუქებდა სსრ კავშირის შემდგომი განვითარების გზებს, თანამედროვე პირობებში სოციალიზმისა და კაპიტალიზმის განვითარების კანონებს. მან ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი შეაიარაღა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ახალი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენებით, რომლებიც მრავალი წლით აშუქებენ ჩვენს წინსვლას კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა წითელი არმიის ძალების შექმნასა და ორგანიზაციას და მის სახელოვან საბრძოლო საქმეებს ყველაზე გადამწყვეტ ფრონტებზე სამოქალაქო ომის წლებში. სტალინმა, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა დიდი სამამულო ომის წლებში, ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ფაშიზმზე გამარჯვებამდე, რამაც ძირეულად შეცვალა მდგომარეობა ევროპასა და აზიაში.

ვიყოთ სტალინის ერთგული და ღირსეული მიმდევრები — ეს ნიშნავს მუდამ გვახსოვდეს და განუხრელად ვზრუნავდეთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განმტკიცებისათვის, უზრუნველვყოფდეთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჯეროვან მზადყოფნას იმ შემთხვევისათვის, თუ აგრესორი რაიმე გამოხდომას გაბედავს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ვიყოთ სტალინის ერთგული და ღირსეული მიმდევრები — ეს ნიშნავს აგრეთვე სათანადო სიფხიზლე და სიმტკიცე გამოვიჩინოთ ჩვენი მტრების, იმპერიალისტურ აგრესიულ სახელმწიფოთა აგენტების ყველა და ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს არა აქვს არავითარი აგრესიული მიზანი და თავის მხრივ არ ერევა სხვა სახელმწიფოთა საქმეებში. ჩვენი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც სტალინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, არის ხალხთა შორის მშვიდობის დაცვის პოლიტიკა, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევი პოლიტიკა, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა იმ ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა, რომლებიც თვითონაც ესწრაფვიან ამას. ასეთი საგარეო პოლიტიკა შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს და ამასთან ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა საფუძველზე განხორციელებულია ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკზოლეუმის ტრიბუნაზე 1952 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის დღეს.
ქალაქ მოსკოვის 612-ე სკოლის პირველი კლასის მოსწავლე ვერა კონდაკოვა მხურვალედ ესალმება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

სიმტკიცით, ხალხთა მატერიალური ძლიერების განუხრელი ზრდითა და კულტურის აღმავლობით ისტორიაში მაგალითი არ მოეპოვება. მთელ ამ საქმეში და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ახალი, მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში ამხანაგ სტალინს განსაკუთრებული, უდიდესი როლი ეკუთვნის. ამასთან სტალინი არა მარტო ხელმძღვანელობდა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებას მრავალი წლის მანძილზე, არამედ თეორიულადაც გააშუქა ეროვნული და კოლონიური საკითხის უმნიშვნელოვანესი თანამედროვე პრობლემები, აქაც განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული საფუძვლები.

ახლანდელ პირობებში ყოველივე ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა შექმნასთან და კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით. სსრ კავშირის ხალხები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი, ავითარებენ და განუხრელად განამტკიცებენ ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, მეგობრულ ურთიერთობას კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ამ ძნელ დღეებში ჩვენ ყველანი განსაკუთრებით კარგად ვხედავთ და მუდამ ვგრძნობთ, თუ საბჭოთა ხალხის რა მძლავრ, ურყევ და საიმედო ბურჯს წარმოადგენს ჩვენი კომუნისტური პარტია, მისი ფოლადისებური ერთიანობა, მისი განუყრელი კავშირი მშრომელთა მასებთან. ჩვენი პარტია, ასრულებს რა დიდი სტალინის ანდერძს, გვაძლევს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის შემდგომი ბრძოლის ნათელ მიმართულებას. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ, კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დავირაზმოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო.

სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში. ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და საპედნიეროდ მის მიერ განხორციელებულ დიად საქმეთა დიდება საუკუნეებში იცოცხლებს!

გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიად, ყოვლისმძლე მოძღვრებას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს, ჩვენს გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას!



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის კუბოსთან.



მოსკოვი.
1953 წლის 6 მარტი.
დედაქალაქის მშრომელები განუწყვეტელ ნაკადად მიემართებიან კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზისკენ, სადაც დასვენებულია ი. ბ. სტალინის ცხედარი.

დოლორეს იბარური კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.
(საკდესის ფოტოქრონიკა)

9 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი

ამ შავდღეს, დაე, გლოვის დღე ერქვას,
ერთ ჭირისუფლად შეწუხებულის,
ასე ერთპირად შედუღებულის
არა ვყოფილვართ ქვეყნის მნახველი,
სიკვდილს რა ძალუძს, როცა ხალხს ერთხმად
სწამს უკვდავება შენი სახელის.

გაჰხედე, გლოვით კეთილშობილით
მოზიდე ერთა გულის სადავე,
შენთან ქარცეცხლში გამოწრთობილნი
მყობადს უშენოს შენით ხატავენ,
ამ დღეებს, დაე, შავბნელი ერქვას,
ქვეყნის სინათლის გვყაკხარ სათავედ.

სევდა დიადი,
თუ უკვდავება,
არ ვიცი, ამ დღეს პირშავს რა ჰქვია,
ფიქრით მოვილტვით კრემლის კარებთან,
გულდათუთქული გორიც აქვეა,
პირმშოდაკარგულს მივეფერებით,
სიმწრის ცრემლები გადმოაფრქვია...

შენ მიგვაჩვიე ლენინის მოძახილს,
არ გვეჩემება მოთქმა ამგვარი,
ლიახვის პირას სიყრმის ოთახის
კედლებს შესტირის ძველი ლამპარი...

მარტის ცხრავ, დაე, გლოვის დღე გერქვას,
მაისის ცხრასაც გაგახსენებდით:
გამარჯვებული გულების ღელვას,
სიხარულს ჩვენი აღმაშენებლის,
გაგახსენებდით უდაბნოს ტეხვას
ახალზღვებით და ახალშენებით!

სადა ხარ, ჯერა! მთელი მსოფლიოს
რუკა განსჭვრიტა ლენინურ გზნებით,
და ხელისგულზე საკაცობრიო,
საშვილიშვილო მოხატა გზები.

სტალინ, იმედი იყავ ჩაგრულის,
კვლავ აიმედებ შინ და გარეთა,
სტალინ! — ახსენებს ხელებდაკრული,
აიშვებს მკლავს და ბორკილს დალეწავს,
შენი სახელი დროშად გაკრული
შიშისზარს დასცემს მტერს და გარეწარს.

გამარჯვებითო! — იტყვის უფროსი,
წასვლისას კერას დალოცავს ასე.
გამარჯვებითო! — გადაულოცე
შვილებს ოჯახი სიკეთით სავსე,
შენი დიდების შუქი უბოძე,
გამოყვანილებს სიმართლის გზაზე.

შენ მიგვაჩვიე ზეიმს სახალხოს,
ძალა ჩაუდგი კვირტების ფეთქვას,
ეს დღე მწუხრითაც ვეღარ დათალხოს, —
მარტის ცხრას, დაე, გლოვის დღე ერქვას.
დაე, შეზაროს ყრუ ოქტავებით
ჰანგმა მწუხრისამ მთელი სამყარო,
დიადი დროის ვართ მოთავენი,
სტალინის დროშა მტკიცედ ვატაროთ!..

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

15 მარტს კრემლში გაიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ამხანაგი გ. მ. მალენკოვი.
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებად დამტკიცებული არიან ამხანაგები:
ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ა. ბულგანინი და ლ. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილედ — ამხანაგი ა. ი. მიქოიანი.

... კრემლის სასახლის სხდომების დარბაზში შეიკრიბნენ ორივე პალატის — კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო პირველად შეიკრიბა ისე, რომ ჩვენთან აღარ არის დიდი ბელადი — ი. ბ. სტალინი. საბჭოთა ადამიანების გულში, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების გულში უსაზღვრო მწუხარეაა ამ დანაკლისის გამო. საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელ თავის შემოქმედებითს ძალებსა და ენერგიას რაზმავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

IV სესია ისტორიულ დღეებში შეიკრიბა. დიდი ბელადის კუბოსთან მისმა გამოჩენილმა მოწაფეებმა და თანამებრძოლებმა ამხანაგებმა გ. მ. მალენკოვმა, ლ. პ. ბერიამ, ვ. მ. მოლოტოვმა მოუწოდეს საბჭოთა ხალხს გააძლიეროს თავისი ღონისძიებანი, კიდევ უფრო გაადიდოს თავისი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო საქმეში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. და საბჭოთა ადამიანები ამ მოწოდებას უპასუხებენ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით ლენინ—სტალინის კომუნისტური პარტიის გარშემო, უპასუხებენ თავდადებული შრომით სამშობლოს საკეთილდღეოდ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სხდომების დარბაზში არიან ორივე პალატის — საბჭოთა კავშირისა და ეროვნებათა კავშირის დეპუტატები, მრავალი სტუმარი.

პრეზიდიუმის ლოჟებში ადგილებს იკავებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

დღის ორი საათია. შეკრებილნი მქუხარე ოვაციით, ფეხზე მდგომნი ხვდებიან დარბაზში პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების—ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას, ვ. მ. მოლოტოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინისა და სხვების გამოჩენას.

სესიას ხსნის კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი მ. ა. იასნოვი. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ საბჭოთა ხალხი დიდი მწუხარების გრძნობით გამოეთხოვა თავის საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, და წინადადება შეაქვს ფეხზე ადგომით პატივი სცენ მის ნათელ ხსოვნას. დეპუტატებმა და სტუმრებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი დიდი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნას.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ 14 მარტს პრაღაში გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი კლემენტ გოტვალდი. ჩეხოსლოვაკიის ხალხებთან ერთად ამ მძიმე დანაკლისს დიდად განიცდის ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი... დამსწრეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს კლემენტ გოტვალდის ხსოვნას. სესიამ ერთსულოვნად მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრებისადმი მიმართვა, რომლითაც დიდ სამძიმარს უცხადებს ჩეხოსლოვაკიის ხალხების საყვარელი ბელადის კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების გამო.

სესიის დღის წესრიგის ერთხმად დამტკიცების შემდეგ, დღის წესრიგის პირველ საკითხზე სიტყვა ეძლევა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელსაც დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილებით ამხ. ნ. მ. შვერნიკი რეკომენდებულია პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს წინადადება შეაქვს განთავისუფლებულ იქნას ამხ. შვერნიკი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და არჩეულ იქნას იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. ამხ. ხრუშჩოვს წინადადება შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე არჩეულ იქნას ამხ. კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

— ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, — ამბობს დეპუტატებისა და სტუმრების ტაშის გრიალში ამხ. ხრუშჩოვი, — ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს იცნობენ როგორც დიდი ლენინის ერთგულ მოწაფესა და დიდი სტალინის თანამებრძოლს, როგორც ჩვენი კომუნისტური პარტიის საქმისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს. ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი ღირსეულად შეასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ამხ. ხრუშჩოვის წინადადებანი ერთხმად იქნა მიღებული. დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან ამხ. კ. ე. ვოროშილოვს.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ლ. პ. ბერიას. ამხ. ლ. პ. ბერიას გამოჩენას ტრიბუნაზე მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ამხ. ლ. პ. ბერიას სესიის განსახილველად შეაქვს წინადადება — დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი და დაევალოს ამხანაგ მალენკოვს წარმოუდგინოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

— ჩვენი პარტია, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, — ამბობს ამხ. ლ. პ. ბერია, — კარგად იცნობენ და დიდ პატივს სცემენ ამხანაგ მალენკოვს, როგორც ლენინის ნიჭიერ მოწაფეს, სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. კრემლის დიდი სასახლის დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის პატივსაცემად.

— მე ვფიქრობ, — ამბობს ამხ. ბერია თავისი სიტყვის დასასრულს, — რომ გამოვხატავ დეპუტატთა საერთო აზრს, თუ მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ საბჭოთა მთავრობა, ამხანაგ მალენკოვის მეთაურობით ისე უხელმძღვანელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის მთელ საქმეს, როგორც გვასწავლიდნენ ლენინი და სტალინი (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში), თავდადებით ემსახურება ჩვენი ხალხის ინტერესებს.

დარბაზში მყოფნი ფეხზე დგებიან. გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

სესია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას: დაინიშნოს გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით მიესალმებიან დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

სესია იხილავს საკითხს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობისა და სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნის შესახებ. სიტყვა ეძლევა ამხ. გ. მ. მალენკოვს. დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

დიდი ყურადღებით უსმენენ დამსწრენი ამხ. გ. მ. მალენკოვის სიტყვას. იგი მადლობას მოახსენებს დეპუტატებს დიდი ნდობისა და მაღალი პატივისათვის, რაც მას დასდეს, დაავალეს რა წარმოადგინოს უმაღლესი საბჭოს განსახილველად მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

ამხ. მალენკოვი მოაგონებს დეპუტატებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისადმი შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობა.

— ამჟამად არსებულ სამინისტროთა გამსხვილების, სახალხო მეურნეობის, კულტურის, მმართველობის მონათესავე დარგებისადმი ხელმძღვანელობის ერთ სამინისტროდ გაერთიანების ღონისძიებანი,—ამბობს ამხ. მალენკოვი,—დღეს კი არ მომწიფდა. ისინი უკვე დიდი ხანია, ამხანაგ სტალინის სიცოცხლეში, მასთან ერთად მზადდებოდა ჩვენს პარტიასა და მთავრობაში. და ახლა, იმ მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით, რაც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა, ჩვენ მხოლოდ დავაჩქარეთ სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების მომწიფებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

უმაღლესი საბჭოს განსახილველად ამხ. მალენკოვს შეაქვს წინადადებანი მთელ რიგ სამინისტროთა გაერთიანების შესახებ, შესაბამისად იმ დავალებისა, რომელიც მას მიეცა როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით იწონებენ ამხ. გ. მ. მალენკოვის მიერ წარდგენილ მთავრობის შემადგენლობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის წარდგენის შემდეგ ამხ. მალენკოვი აცხადებს, რომ მთავრობა მთელ თავის საქმიანობაში ზუსტად განახორციელებს პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას საგარეო და საშინაო საქმეებში. ამხ. მალენკოვი ტაშის გრიალში აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობისათვის კანონია მოვალეობა — შეუნელებლად ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისათვის, მის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

ეხება რა საგარეო პოლიტიკას, ამხ. მალენკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა განუხრელად განახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის ნაცად პოლიტიკას, ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობისა და ინტერესთა ურთიერთდაცვის საფუძველზე მათთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას, კვლავაც განახორციელებს მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას, განამტკიცებს ძმურ მეგობრობასა და სოლიდარობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ყველა ხალხთან. ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ამხ. მალენკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად არ არის ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. ეს შეეხება საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. მალენკოვი ამბობს, რომ საბჭოთა ხალხი ღრმად დარწმუნებულია თავის ძალებში, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ახლა უფრო დიდი და უძლეველია, ვიდრე ოდესმე. იგი პირობას იძლევა, რომ საბჭოთა მთავრობა მთელ თავის ძალებს მოახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, საბჭოთა ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლას.

ამხ. მალენკოვის სიტყვის დასასრულს დარბაზში გაისმის მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან.

სესია ერთხმად ამტკიცებს კანონს სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნის შესახებ.

ასევე ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას.

სესიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად აირჩია ამხ. ნ. მ. პეგოვი და ამ მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. თ. გორკინი.

პალატების მიხედვით ცალცალკე ერთხმად მიღებულია კანონი „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) 70, 77 და 78 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

სესიამ გაათავისუფლა ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დაინიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად აირჩია ამხ. ა. ა. ანდრეევი.

სესიის დღის წესრიგი ამოიწურა. თავმჯდომარე ამხ. იასნოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიას დახურულად აცხადებს.

დეპუტატები ფეხზე დგებიან და ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან სსრ კავშირის მთავრობას.

„პრავდა“

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საპატიო ყარაული ბელადის პორტრეტთან.

ფოტო ო. თურქიასი

ბელადის აკვანთან



ქ. გორი.
გაზეთების კიოსკთან
1953 წლის 6 მარტს.
ფოტო კ. კრიმსკისა და
ვლ. გინზბურგის

6 მარტი. სამგლოვიარო თალხებშია გახვეული ქალაქი გორი, აქ დაიწყო ძგერა ბელადის ესოდენ მგრძნობიარე, ძლიერმა და ხალხის მოამაგე გულმა.

სამგლოვიარო ძაძა აცვია მოსკოვს, სადაც შეწყდა ამ გულის ძგერა, მოსკოვსა და გორს შორის, მოსკოვის ჩრდილოეთით და გორის სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით ტირიან ადამიანები, ქალაქები და სოფლები, აულები და ხუტორები. გლოვობს დედამიწა — თითქოს შავ არშიად გადაქცეულა ეკვატორის ხაზი. დაუჯერებელია ცნობა, რომელიც რადიომ მოჰფინა მთელ ქვეყანას.

გარდაიცვალა სტალინი. ეს ორი სიტყვა პირველი — უსაშინლესი და მეორე — უძვირფასესი, ეს ორი სიტყვა — ერთად სათქმელად წარმოუდგენელი — შეერთდა ასეულ მილიონობით ადამიანთა ბაგეებზე. შესწყვიტა ძგერა ყველაზე მედგარმა გულმა, შეწყდა აზროვნება ყველაზე გამჭრიახი გონებისა, დაიხურა ყველაზე შორსმჭვრეტელი, საყვარელი და თბილი თვალები.

დედას პირდაპირ ვერასოდეს ვერ ეუბნებიან შვილის გარდაცვალების ამბავს; ჯერ ავადმყოფობას უხსენებენ, აჩვენებენ, ამზადებენ დიდი მწუხარების გადასატანად, ახლა კი თითქოს განგებ მოხდა ასე: ოთხი დღის განმავლობაში მძიმე ავადმყოფი იყო ბელადი, მაგრამ დედა-სამშობლო, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ადამიანები ვერც ერთი საათით, ვერც ერთი წუთით ვერ ეჩვეოდნენ ამ აზრს. მათ არ სჯეროდათ ბელადის ავადმყოფობა და მის გარდაცვალებას როგორღა დაიჯერებდნენ.

მაგრამ რადიომ მოიტანა უსმობელი ცნობა.

თვალცრემლიანი გორი მტკიცედ შეხვდა ამ თავზარდამცემ ამბავს. იმ დედასავით მტკიცედ, რომელსაც შვილის გმირულად დაღუპვის ამბავი შეატყობინეს, მაგრამ გორი, იმ დედასავით აქვითინდა და იმ დედასავით გაეხვია შავებში.

აი, ის „ხალხის აკვანი და მიწა ერთი კალთა“, სადაც ფრთები გაშალა და ფრენა ისწავლა არწივმა.

ამ ქოხთან ახლა თვალცრემლიანი და გულმოკლული გორელები დგანან. აქ მოსულან საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან. დასევდიანებული, სახემოღუშული ადამიანები ჩუმად, ფეხაკრეფით დადიან მუზეუმის ოთახებში და ათვალიერებენ ექსპონატებს, კითხულობენ დოკუმენტებს. ამ მწუხარების დღეს კიდევ ერთხელ სურთ თვალი გადაავლონ ბელადის რევოლუციური მოღვაწეობის სახელოვან გზას, ბელადის ბავშვობის ამსახველ დოკუმენტებს; აი, პატარა სოსო გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეების შორის, აი, მისი აკადემიური მოსწრების ნიშნები. აი იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილის დაბადების მოწმობა. „ნუთუ ამ მოწმობის გვერდით, მუზეუმში უნდა მოთავსდეს დოკუმენტი ბელადის გარდაცვალების შესახებ? ეს წარმოუდგენელია, დაუჯერებელია“, ფიქრობენ საბჭოთა ადამიანები, ფიქრობენ გორელები და ასევე სწერენ სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნშიც: „არ შემიძლია დავიჯერო, რომ მშობლიური სტალინის პორტრეტი სამგლოვიარო ჩარჩოშია ჩასმული“ — სწერს საბჭოთა ოფიცრის ცოლი ოლგა ტინიაკოვა. საბჭოთა ადამიანები ფიცს დებენ დიდი ბელადის აკვანთან: „ძვირფასო სტალინ, შენი წმიდათა-წმიდა ცხედრის წინაშე ფიცსა ვდებთ, რომ გაორკეცებული ძალღონით ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების და კეთილდღეობისათვის, იმ სამშობლოსი, რომელიც თქვენ აყვავებული დაგვიტოვეთ,“ — სწერენ ქართველი სტუდენტები.

„... სულ ცოტა ხნის წინათ პირველად მივეცი ხმა ხალხთა იმედს...“ — წერს გორის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე ი. ნოზაძე. ახალგაზრდა ამომრჩეველი დასტირის ყველაზე საყვარელი, ყველაზე საამაყო დეპუტატის გარდაცვალებას.

„გეთხოვებით რა, ძვირფასო სტალინ, გვჯერა, რომ ხვალინდელ დღეს ისევ შენი ღიმილის შუქი გაანათებს“... — ასეთი უბრალო და მართალი სიტყვებით გამოთქვამენ თავიანთ რწმენას თბილისის სახელმწიფო სასწავლებლის მუშაკები.

გასაოცარი სიხშირეთით იზრდება და იწერება შთაბეჭდილებათა წიგნი. მრავალათასიან ავტორებს ერთი იდეა, ერთი თემა დაუდევთ ამ წიგნის საფუძვლად: ეს არის დიდი ბელადისადმი სიყვარულის თემა. ეს არის უკვდავების იდეა. ახლა წიგნის ავტორები ყველაზე სევდიან, ყველაზე მძიმე სტრიქონებს სწერენ; გარდაიცვალა გმირი, მაგრამ მისი საქმე ცოცხლობს. მისი იდეები ცოცხლობენ და მუდამ იცოცხლებენ, ამიტომ არასოდეს არ დასრულდება ეს წიგნი. არ დასრულდება იმიტომ, რომ სიცოცხლე მუდამ იარსებებს, ადამიანები მუდამ იქნებიან, ადამიანებს კი მუდამ ეყვარებათ სტალინი.

ბელადის სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნი 19 ტომს შეიცავს, ამ გლოვის დღეებში დაიწყო მე-20, მე-21 და მე-22 ტომების შევსება. რა ტომის, რა ერის ადამიანებს არ ჩაუწერიათ აქ თავიანთი გულწრფელი სიტყვები, თავიანთი აღფრთოვანება და სიყვარული დიდი სტალინისადმი. აქ ყოფილან ჩინეთის გლეხები და უნგრეთის ხელოვნების მუშაკები, ინდოეთის მწერლები და ინგლისის ახალგაზრდობის დელეგაცია. დღეს ეს ადამიანები თავიანთ შორეულ სამშობლოში თვალცრემლიანი იხსენებენ გორში გატარებულ დღეს, თვალწინ უდგათ ის აკვანი, რომელშიც იზრდებოდა მილიონების თავისუფლების გამომჭედი.

თვალწინ უდგათ მოსკოვი და მავზოლეუმი წითელ მოედანზე. მათ სწამთ მომავალი დიდი ადამიანის დიდი საქმეებისა. სწამთ რომ გორში ხელმეორედ სტუმრობისას ისევ მზიან ქუჩებში გაივლიან, ისევ პირმდიმარე ადამიანებს ნახავენ, ისევ იგრძნობენ დიდი ქვეყნის ძლიერ მაჯისცემას, ხალხის უკვდავებას, სტალინის უკვდავებას.

სტალინი ცოცხლობს!

იმ ღამითაც გორის ციხეზე ვარსკვლავი აინთო, როგორც გზის ჭანათობელი ჩირაღდანი, როგორც გამარჯვებისა და მარადიულობის სიმბოლო.

ჯავი ალმოსა

ი. გრიშაშვილი

შენი სურათი, დიმიდით სავსე,
სტალინ! გულში მაქვს დრმად ჩაკირული.
მეორეც მიქვს მაგიდის თავზე,
რომ ჩამინერგოს ბრძოლა გმირული.

ვაჭმე! დღეს ტრემლით აგვევსო თვალი,
გმინავ ამოსკდა ხალხს უნებური...
სადაც კი შეეხვდი შენს სურათს, სტალინ,
ირგვლივ ძაძ აქვს შემოვლებული.

მე კი გიყურებ კვლავ ძველებურად,
ცოცხალს მოგაძახ: „მას გაუმარჯოს!“
არა და არა! შენს ნათელ სურათს
ვერ შემოვაკლებ ღამისთვერ ჩარჩოს.

1953 წ. 6 მარტი.

სტალინი ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ტირიან განგის, მისისიპის და ვოლგის პირას,
ბეთჰოვენიც და ჩაიკოვსკიც დღეს ჩვენთვის გმინავს...
მოსკოვის ბაღში დიდი კრემლის ვარსკვლავი ბრწყინავს,
ლენინის გვერდით სტალინსა სძინავს...

ამხანაგებო, რა თქმა უნდა, ლენინის გვერდით!
მაგრამ ეგ როგორ? რანაირად და ისიც როდის?
მოსკოვი. კრემლი.—ჩვენ ამხანაგ სტალინსა ვწერდით...
ახლა ვერ მისწერ,
ვეღარ მისწერ...

ის მოდის, მოდის...
მას ყოველთვის სიმღერის ტალღა,
ყოველთვის ვაშა მოუძღოდა, ყოველთვის ტაში...
ახლა მოსკოვი,
ფხენიანი,
პეკინი,
პრაღა...
და სატახტოთა ქვითინებს დასი.

არა!
სტალინი არ მომკვდარა, გმირო პარტიავ!
შთამბერე ძალა და სიმხნევის გამხადე ღირსი!
დედამიწაზე კომუნიზმის ცეცხლი ანთია,
შენი ცხოვრებით
დღეს ცხოვრება გრძელდება მისი!

მე წავალ, წავალ,
დავსახლდები მარადიულ დიდების ძეგლთან;
სადმე კედელზე მივაშენებ პაწია ხულას.
გრგვინვით, გრიალით ჩაივლიან საუკუნენი —
ყველა მათგანი შეაჩერებს იქ თავის ქურანს...

ჩუ!
ფრთხილად!
ჩუმად!
ქარიშხლებით დაღლილებს სძინავთ!
აი, ამ ორმა...
აი, ხედავთ...
ეს იყო წინათ...
ამ ორმა კაცმა გამოსჭედა ადამიანი —
რკინად!

ტირიან განგის, მისისიპის, მისურის პირას...
ბეთჰოვენიც და ჩაიკოვსკიც დღეს ჩვენთვის გმინავს...
ჩალურჯებია უპეები უძილო თპილისს...
მოსკოვი, პრაღა, კალკუტა და პეკინი ტირის...
მზე ჩადის, წითლად... გახვეულა სამყარო ბურში,
მზე ჩადის, ჩადის... ვეებერთელა მზე ჩადის, რათა,
როგორც აღმობრწყინდა იგი ხუანხეზე გუშინ,
როგორც მოეფინა ცეცხლისფერად დუნაის პირებს,
ისე მოეფინოს
სხვათა და სხვათა!

დედას ნუ ეტყვით სამძიმარს

შალვა ამისულაშვილი

ცამდე აწვდილო მთაწმინდავ,
წმინდად ინახავ წინაპრებს;
მათი სიმართლის ლამპარი
დღესაც მომავალს გვინათებს.
მანდ სძინავს ქართლის დედასაც —
დედათა შორის — დიდ დედას,
ვისი უბადლო ამაგიც
უფრო და უფრო დიდდება;
ვისი ლეჩაქის სიწმინდით
გაოცებულა მსოფლიო,
ვისმა მანდილმაც
შრიალი
ლამის მთელ ხმელეთს მოჰფინოს,
ვის ნარწევ ლერწმის აკვანში
იბადრებოდა მნათობი, —
და წყვდიადს ემუქრებოდა
თავისი გოლიათობით;
ვისმა გაზრდილმა ჭაბუკმაც
ზღაპრული ფრთები მოისხა,
დასცა და
ფერფლად აქცია
დუშმანი ყველა დროისა...
ცამდე აწვდილო მთაწმინდავ,
წმინდად ინახავ წინაპრებს;
მანდ სძინავს ქართლის დედასაც,
თავს რომ აკლავდა სიმართლეს...
სძინავსო?

არა!..
რას ვამბობ?!
რა დააძინებს საცოდავს,
როდესაც კრემლმა მსოფლიოს
შვილის სიკვდილი აცნობა,
როდესაც სამგლოვიაროდ
რეკავენ კრემლის ზარები,
როდესაც დედას
საფლავში
ხმა ჩასწვდა შესაზარები;
როდესაც მამადავითზე
მოგროვდნენ ჭირისუფლები,
როდესაც დიდს და პატარას
დარდით ეხრებათ მუხლები,
როდესაც
თვითონ თოვლიც კი —
კაეშნისაგან გაშავდა
და ჯანღი ჯანღზე გაება
მთაგრეხილების დასავალს...
მაგრამ, თქვენ, ჭირისუფალნო,
დედას ნუ ეტყვით სამძიმარს;
მან რომ ვაჟკაცი გაზარდა,
სხვა დედა როგორ გაზრდიდა...
მწარე ამბავი დაირხა...
გულმა მაინც არ იწამა,
სტალინი კი არ მომკვდარა,
სტალინი გარდაიცვალა...



თბილისი. მთაწმინდა. ი. ბ. სტალინის დედის — ეკატერინე ჯუღაშვილის საფლავი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი
მუშაობის დროს.
(1936 წ.)

ფოლადის ქალაქის ცრემლი და ფიცი

გაზაფხულმა მწუხარება და ცრემლი მოგვიტანა. მაგრამ გაზაფხული არასოდეს არ იწყება სიკვდილით. გაზაფხული იწყება სიცოცხლით, მერცხლებით და ყვავილებით. გაზაფხული იწყება მინდვრებში ტრაქტორების გასვლით, ქარხნებში და ფაბრიკებში ახალი სერიული გამოშვების, ათვისებით, თუჯისა და ფოლადის ზეგეგმითი ჩამოსხმით.

ასევე დაიწყო გაზაფხული რუსთავში, ქართველი მეტალურგების ქალაქში.

ქარხნის მუშები და ქალაქის მშენებლები ოთხი დღის განმავლობაში მოკრძალებითა და შიშით შეჰყურებდნენ რადიოს, თითქოს შორიდან ეალერსებოდნენ, ეფერებოდნენ, რომ თავზარდამცემი ამბავი არ წამოსცდენოდა, ხელების კანკალით კითხულობდნენ გაზეთს, გონებაში მკაფიოდ რჩებოდა ბელადის ავადმყოფობის თვითეული დეტალი და ზოგიერთები ჩუმად, ფარულად ისინჯაკდნენ საკუთარ მაჯისცემას, თითქოს უნდოდათ გაეგოთ, თუ რამდენად საშიში იყო ბელადის ავადმყოფობა. დაძაბულ შრომაში და დაძაბულ ფიქრებში გაიარა მარტის პირველმა დღეებმა. 6 მარტს დილით კი რუსთავის მშრომელებმა ძლივს იცნეს ნაცნობი მოსკოველი დიქტორის ხმა... «5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ...»

თვალთ დაუბნელდათ რუსთაველებს, ცრემლები წასკდათ, ეს ცნობა თვითეული მათგანისათვის ყველაზე დიდი პირადი უბედურება იყო. მუშაობა შესწყვიტა ბელადის მგზნებარე გულმა, მუშაობა შესწყვიტა ბრძმედმა, რომელმაც ასეულ მილიონობით ფოლადის გულის ადამიანები გამოაწრთო. ეს ფოლადისებური ადამიანები კი ახლა მუშტებით იწმენდნენ ღაწვებზე დაგორებულ ცრემლებს. თურმე რამდენი ცრემლი ჰქონია ადამიანს.

ეს იყო ცრემლთა ნაკადი დიდი ბელადის გარდაცვალების გამო.

იმ დღეს შუბლშეჭმუხვნილი და დაღვრემილი მეტალურგები ჩვეულებრივად გავიდნენ სამუშაოდ. კვლავინდებურად დნებოდა ფოლადი, კვლავინდებურად იგლინებოდა მილები და რაღაც უცნაური განცდა ეუფლებოდა ყველას: თითქოს ბელადი ძველებურად თვალს ადევნებდა მათ მუშაობას, თითქოს საამქროდან საამქროში დადიოდა, თავისი თბილი მამობრივი ღიმილით უღიმოდა შრომის გმირს, შენიშვნებს აძლევდა გამოუცდელ მუშებს და გვიან, სამუშაო დღის დამთავრებამდე თავს დატრიალებდა ქარხანას. და მეფოლადეები იბრძოდნენ ახალი მიღწევებისათვის, იბრძოდნენ სტალინური გეგმების შესასრულებლად. ასე იყო 6 მარტს. ასე გაგრძელდა მომდევნო დღეებშიც.

ასეა შეჩვეული საბჭოთა ხალხი და ეს ჩვევა ყველაზე დიდმა მწუხარებამაც ვერ შეცვალა. იმიტომ, რომ თვით სტალინმა გამოსჭედა საბჭოთა ადამიანებში ახალი და ახალი გამარჯვებების ჩვევა.

რუსთავს ამასწინათ შეუსრულდა 5 წელი. ახალგაზრდა ქალაქს არ უნახავს მეფის თვითმპყრობელობის მკაცრი რეჟიმი. იგი საბჭოთა ეპოქაში დაბადებული ქალაქია. რუსთავს მხოლოდ სიხარული და ბედნიერება უგრძვნია. მხოლოდ გამარჯვებები და დღესასწაულები უნახავს. რუსთავი არც დიდი ლენინის გარდაცვალების დღეს მოსწრებია. დღეს კი რუსთავი გლოვობს, პირველად გლოვობს ახალგაზრდა ქალაქი.

მოედნის წინ უზარმაზარი ამწეს ისარზე შავი არშიებით შემოსილტული წითელი მაუდი ჰკიდია. შუაში დიდი სტალინის პორტრეტია.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან ორატორები, ქალაქს მოწინავე მშენებლები და ქარხნის მუშები. მარტენის საამქროს ფოლადისმდნობელი შ. კუხალეიშვილი, ინჟინერ-ქიმიკოსი თ. ჩიხლაძე, ქარხნის კომსორგი ი. ცინცაბაძე. მიკროფონს უახლოვდება მილსამზადი საამქროს უფროსი ოპერატორი ევგენი ხარჩენკო. იგი ამასწინათ, როდესაც ამერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას დიდი სტალინის სახელი მიეკუთვნა, მგზნებარე სიტყვით გამოვიდა მიტინგზე. ამ ცნობით აღფრთოვანებულმა ევგენი ხარჩენკომ მაშინ პირობა დასდო, რომ 400 %-ით შეასრულებდა გეგმას. ახლა ევგენი შუბლშეჭმუხვნილია, თავი ჩაუღუნავს, დაღვრემილია. მაგრამ თავისივე წარმოთქმული სიტყვების სიმართლე ამხნევებს მას, ხმას ვაჟკაცურობა ემატება, გულს—რწმენა: «სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ააშენებს კომუნიზმს». და თითქოს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმოთქმულ ამ ფიცს აგრძელებს შემდეგი ორატორი ექიმი ქალი ნ. ასათიანი: «დღეს ჩვენ ვიგონებთ იმ ფიცს, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მისცა ამხანაგ ლენინს 1924 წლის 26 იანვარს, და მტკიცედ ვიმეორებთ: «გეფიცებით შენ, ამხანაგო სტალინ, რომ პირნათლად შევასრულებთ შენს ანდერძს».

...ახმაურდნენ მოედანზე დადგმული რადიორეპროდუქტორები ლაპარაკობს მოსკოვი! რუსთაველები სულგანაბული უსმენენ ამხანაგების მალენკოვის, ბერიას, მოლოტოვის სიტყვებს. მშრომელები თანდათან წელში იმართებიან. ლოყებზე ცრემლი შრება. გულში საბოლოოდ სადგურდება შეურყეველი რწმენა. ლაპარაკობს სტალინური ცენტრალური კომიტეტი! რეპროდუქტორებიდან ისმის მოსკოვის სუნთქვა, წითელი მოედნის გულის ძგერა. თითქოს იმ წუთში დიდი ქალაქის საზღვრები დაიძრა, გაფართოვდა, გაიშალა და რუსთავამდე მოვიდა.

...მოსკოვიდან ისმის სალუტის ხმა, თბილისიდანაც აღწევს ქვემეხთა ყრუ გუგუნი. 12 საათია მოსკოვის დროით.

...ბელადის სარკოფაგი შეაქვთ მავზოლეუმში.

აკივლდნენ რუსთავის ქარხნის მილები. აკივლდნენ ლოკომოტივები, შეჩერდა ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობა. შეჩერდნენ ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროები, შეჩერდნენ ატლანტიკისა და ინდოეთის ოკეანეებში გასული საბჭოთა სავაჭრო გემები. ხუთი წუთით გაირინდა ყველაფერი. მხოლოდ დედამიწა განაგრძობდა მოძრაობას. დიდი სტალინის დაბადების შემდეგ იგი მე-74-ჯერ უვლიდა მზეს გარშემო და სამყაროს სივრცეში მიაქროლებდა გიგანტ ძმათა მავზოლეუმს, როგორც სიცოცხლეს, როგორც მარადისობისა და უკვდავების სიმბოლოს.

უდიადესი მეგობრობა

მაო ძე-დუნი

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან თანამედროვეობის უდიდესი გენიოსი, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დიდი მასწავლებელი, უკვდავი ლენინის თანამებრძოლი — ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ამხანაგ სტალინის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მოღვაწეობა ფასდაუდებელი განძია ჩვენი თანამედროვეობისათვის. ამხანაგი სტალინი წარმოადგენს მთელ ახალ ეპოქას. მისი მოღვაწეობის მეოხებით საბჭოთა ხალხმა და ყველა ქვეყნის მშრომელებმა შეცვალეს მთელი საერთაშორისო ვითარება. ეს ნიშნავს იმას, რომ სამართლიანობის, სახალხო დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმემ გაიმარჯვა დედამიწაზე უდიდესი მასშტაბით, დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედის მასშტაბით, რაც 800 მილიონზე მეტ კაცს შეადგენს. ამ გამარჯვების გავლენა დღითიდღე ვრცელდება მთელი მსოფლიოს ყოველ კუთხეზე.

ამხანაგ სტალინის გარდაცვალებამ გამოიწვია მთელი მსოფლიოს მშრომელთა უმაგალითო, უდიდესი მწუხარება, იგი ღრმად ჩასწვდა გულში მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანებს. ეს ცხადყოფს, რომ ამხანაგ სტალინის საქმე და მისი იდეები დაეუფლნენ მთელი მსოფლიოს ხალხთა ფართო მასებს და უკვე უძლეველ ძალად იქცნენ. ამ ძალას მიეყავს უკვე გამარჯვებული ხალხები გამარჯვებიდან გამარჯვებამდე და ამავე დროს იგი იქამდეც მიგვიყვანს, რომ ყველა ის, ვინც ჯერ კიდევ გმინავს ბიწიერებაში ჩაფლული ძველი, კაპიტალისტური სამყაროს უღელქვეშ, შეძლებს გადავიდეს გაბედულ იერიშზე ხალხის მტრების წინააღმდეგ.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა ხალხმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ააშენა ნათელი, სხივმოსილი სოციალისტური საზოგადოება მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში, რომელიც მან შექმნა დიდ ლენინთან ერთად ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება საბჭოთა კავშირში — ეს არის არა მარტო საბჭოთა ხალხის გამარჯვება, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა საერთო გამარჯვება. ჯერ-ერთი, ამ გამარჯვებამ უაღრესად ცხოველმყოფელი სინამდვილით დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის აბსოლუტური სიმართლე, კონკრეტულად ასწავლა მთელი მსოფლიოს მშრომელებს, თუ როგორ უნდა წინსვლა ბედნიერი ცხოვრებისაკენ. მეორე, ამ გამარჯვებამ უზრუნველყო კაცობრიობისათვის მეორე მსოფლიო ომში ფაშისტი მხეცის დამარცხების შესაძლებლობა. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების გარეშე შესაძლებელი იქნებოდა გამარჯვების მოპოვება ფაშიზმის წინააღმდეგ ომში. სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვებას სსრ კავშირში და გამარჯვებას ანტიფაშისტურ ომში პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ კაცობრიობის ბედიღბალთან, და ამ გამარჯვებათა დიდება სამართლიანად ეკუთვნის დიდ ამხანაგ სტალინს.

ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ, კლასიკურად განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია, დასაბამი მისცა ახალ ეტაპს მარქსიზმის განვითარებაში. ამხანაგმა სტალინმა შემოქმედებითად განავითარა ლენინის თეორია კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების შესახებ და თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ; ამხანაგმა სტალინმა შემოქმედებითი წვლილი შეიტანა კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის თეორიაში, სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის თეორიაში, მან აღმოაჩინა და დაასაბუთა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, შეიტანა წვლილი თეორიაში რევოლუციის შესახებ კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში. ამხანაგმა სტალინმა აგრეთვე შემოქმედებითად განავითარა პარტიის მშენებლობის ლენინური თეორია. ამან კიდევ უფრო დარაზმა მთელი მსოფლიოს მუშები და ყველა ჩაგრული კლასი და ხალხი, რისი მეოხებითაც მუშათა კლასისა და ყველა ჩაგრული ხალხის ბრძოლამ თავისი განთავისუფლებისა და ბედნიერებისათვის და ამ ბრძოლის წარმატებებმა უმაგალითო ფარგლებს მიაღწიეს.

ამხანაგ სტალინის ყველა ნაწარმოები — ეს უკვდავი განძია მარქსიზმში. მისი შრომები „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", „საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", აგრეთვე მისი უკანასკნელი დიადი შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" — ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის ენციკლოპედია, ამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოცდილების განზოგადება. მისი სიტყვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე — ძვირფასი ანდერძია მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტებისათვის.

ჩვენ, ჩინელი კომუნისტები, ისე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტები, ჩვენი გამარჯვებების გზებს ვპოულობთ ამხანაგ სტალინის დიად შრომებში.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგი სტალინი ყოველთვის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ცენტრალური ფიგურა იყო. მის გარშემო დარაზმულები, ჩვენ მუდამ ვიღებდით მისგან მითითებებს, მუდამ ვპოვებდით მის ნაწარმოებებში იდეურ ძალას. ამხანაგი სტალინი გამსჭვალული იყო მხურვალე გრძნობებით აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხებისადმი. „არ დაივიწყოთ აღმოსავლეთი", — ასეთი იყო ამხანაგ სტალინის დიადი მოწოდება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამხანაგ სტალინს მხურვალედ უყვარდა ჩინელი ხალხი და მიაჩნდა, რომ ჩინეთის რევოლუციის ძალები განუზომელია. ჩინეთის რევოლუციის საკითხებში მან უდიდესი სიბრძნე გამოიჩინა. მიჰყვებოდა რა ლენინ — სტალინის მოძღვრებას და ეყრდნობოდა რა დიდი საბჭოთა სახელმწიფოს და ყველა ქვეყნის ყველა რევოლუციური ძალის მხარდაჭერას, ჩინეთის კომპარტიამ და ჩინელმა ხალხმა რამდენიმე წლის წინათ ისტორიულ გამარჯვებას მიაღწიეს.

დღეს ჩვენ დავკარგეთ დიდი მასწავლებელი და ყველაზე გულწრფელი მეგობარი — ამხანაგი სტალინი. ეს დიდი უბედურებაა. შეუძლებელია სიტყვით გამოვხატოთ ამ უბედურებით გამოწვეული მწუხარება.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მწუხარება გადავაქციოთ ძალად. წმიდად დაიცავენ რა ჩვენი დიდი მასწავლებლის სტალინის ხსოვნას, ჩინეთის კომუნისტური პარტია და ჩინელი ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და საბჭოთა ხალხთან ერთად უსაზღვროდ განამტკიცებენ სტალინის სახელით გასალკლდევებულ დიად მეგობრობას. ჩინელი კომუნისტები და ჩინელი ხალხი კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით შეისწავლიან სტალინის მოძღვრებას, საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას იმისათვის, რომ აშენონ თავიანთი სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის ლენინისა და სტალინის მიერ გამოზრდილი პარტია, ყველაზე მოწინავე, ყველაზე გამოცდილი და თეორიულად ყველაზე შეიარაღებული პარტია მსოფლიოში; ეს პარტია იყო და არის ჩვენთვის ნიმუშიც; იგი ასევე ნიმუში იქნება ჩვენთვის შემდგომშიაც. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ამხანაგ მალენკოვის მეთაურობით უთუოდ შეძლებენ განაგრძონ ამხანაგ სტალინის საქმე, წინ წასწიონ და ბრწყინვალედ განავითარონ კომუნიზმის დიადი საქმე.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული და კიდევ უფრო ძლავრი გახდება.

ოცდაათ წელზე მეტია, რაც ამხანაგ სტალინის მოძღვრება და საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის მაგალითი ხელს უწყობდა კაცობრიობის გიგანტური ნაბიჯით წინსვლას. ამჟამად საბჭოთა კავშირმა მიაღწია ისეთ ძლიერებას, ჩინეთის სახალხო რევოლუციამ მოიპოვა ისეთი დიდი გამარჯვება, სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში მშენებლობას ისეთი დიდი წარმატებები აქვს, მსოფლიოს ხალხთა მოძრაობამ ჩაგვრისა და აგრესიის წინააღმდეგ მიაღწია ისეთ გაქანებას, ხოლო ჩვენი მეგობრობისა და შემჭიდროების ფრონტი იმდენად განმტკიცდა, რომ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ: ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი იმპერიალისტური აგრესია. ჩვენ გავანადგურებთ ყოველგვარ იმპერიალისტურ აგრესიას, ყველა საზიზღარი პროვოკაცია მარცხით დამთავრდება.

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა ურღვევია, იმიტომ რომ იგი ეყრდნობა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების საფუძველს. ინტერნაციონალიზმის ამ დიად პრინციპებს ეყრდნობა აგრეთვე მეგობრობა ჩინელ და საბჭოთა ხალხებსა და სახალხო დემოკრატიის ხალხებს შორის, მეგობრობა მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ და სამართლიან ხალხებს შორის; ამიტომ ეს მეგობრობაც ურღვევია.

გასაგებია, რომ ამ მეგობრობით წარმოშობილი ძალები უსაზღვროა, დაუშრეტელი და ნამდვილად უძლეველია.

დაე ძრწოდეს ყველა იმპერიალისტი აგრესორი და ომის გამჩაღებელი ჩვენი დიადი მეგობრობის წინაშე!

გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრებას!

დაე ცოცხლობდეს საუკუნეებში დიდი სტალინის უჭკნობი სახელი!

ი. ბ. სტალინი, მაო ძე-დუნი და გ. მ. მალენკოვი (1950 წ.)



ი. ბ. სტალინი 1896 წელს.

F1422

ი. ბ. სტალინი და ა. მ. გორკი
(1935 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲒᲐᲖᲗᲝᲗ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ 1895 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ „ᲓᲘᲓᲚᲐ“.

მოწინავე კაცობრიობის ბრძენი ბელადი მუდამ უდიდეს ყურადღებას იჩენდა მაქსიმ გორკის შემოქმედებისადმი. იგი უახლოესი მეგობარი იყო გენიალური რუსი მწერლისა. 1932 წელს, მაქსიმ გორკის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლის თავზე, ამხანაგმა სტალინმა დიდ მწერალს მისწერა:

„ძვირფასო
ალექსი მაქსიმეს-ძევ!

სულითა და გულით მოგესალმებით და მაგრად გართმევთ ხელს. გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს და მუშაობას ყველა მშრომელის სასიხარულოდ, მუშათა კლასის მტრების „თავზარდასაცემად“.

ᲩᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲓᲠᲐᲓᲡ

ცხოვრება ჩვენი ბედნიერი არის იმდენად,
იმდენად არის ძვალმაგარი ჩვენი ცხოვრება;
რომ,
არც მუსიკა,
რომ
არც დექსი,
რომ
— არც სიმღერა,—
უიმედო
ჩვენ
არაფერი მოგვეპოვება!
ეოფელი ჩვენი სიმღერა და ეოფელი დექსი,
უმდერის ჩვენი გაქანების უსაზღვროებას,
ახლა,
როდესაც ვოლგა-დონის ხმაური გვესმის,
ახლა,
როდესაც მწუობრში დგება ურაცხვი ᲩᲔᲡᲘ;—
—ტირილის ნებას არ იძლევა ჩვენი ცხოვრება!
ᲩᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲡ,
ᲩᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ,
ᲓᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲡ ᲩᲙᲘᲗᲮᲔᲗ,
ᲣᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲘᲝᲠᲡ,
ᲔᲣᲠᲘ ᲣᲒᲓᲔᲗ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲗᲝᲜᲡ,
ᲠᲐᲘᲡᲢᲐᲒᲡ ᲩᲙᲘᲗᲮᲔᲗ...
ᲩᲙᲘᲗᲮᲔᲗ...!
ᲩᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲢᲣᲔᲡ;—
—ᲢᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ
ᲗᲕᲘᲗᲝᲜ!

ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

6. III. 1953

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კარლ მარქსი

(გარდაცვალების 70 წლისთავის გამო)

გ. ნაგროშვილი

ეს იყო სრული სამოცდაათი წლის წინათ, ნისლით ჩამობურულ ლონდონში. თოთხმეტ მარტს, ნაშუადღევის ორ საათზე, ფრიდრიხ ენგელსმა სწრაფი ნაბიჯით გადასჭრა ქუჩა და გაემართა იმ სახლისკენ, რომელშიც მისი ყველაზე ახლობელი მეგობარი, ბრძენი მოხუცი, მეცნიერული სოციალიზმის გენიალური ფუძემდებელი კარლ მარქსი ცხოვრობდა. აგერ უკვე მეექვსე კვირა იყო, რაც საოცრად შეშფოთებული მიუახლოვდებოდა ხოლმე ფრიდრიხ ენგელსი ამ ქუჩის კუთხეს, შეხედავდა მარქსის ოთახის ფანჯრებს და როცა დაინახავდა, რომ ფარდები ჩამოშვებული არ იყო, თავისუფლად ამოისუნთქავდა: მაშასადამე, ყველაფერი კარგად არის, ბრძენი მოხუცი ისევ გასცქერის ამ ფანჯრებიდან ქვეყანას. ენგელსმა იმ დღესაც შეაღო კარი, მაგრამ მოულოდნელად სახლში ყველას თვალებზე ცრემლები დაინახა: უთხრეს, რომ ამ დილით, მცირე სისხლის ჩაქცევას ავადმყოფისათვის მთელი ძალ-ღონე წაერთმია და დაეუძლურებინა. ენგელსმა სცადა ენუგეშებინა მარქსის ახლობლები, შემდეგ მიუახლოვდა მოხუცებულ ლენხენს, რომელიც მარქსს უვლიდა და თავს ევლებოდა, ისე როგორც დედა ევლება თავის საყვარელ შვილს; ენგელსმა სთხოვა ლენხენს ასულიყო მაღლა სართულში, ენახა მარქსი და გაეგო — შეიძლება თუ არა ახლა მასთან შესვლა. ლენხენი ჩამოვიდა დაბლა და შეატყობინა ენგელსს, რომ მარქსი მშვიდად თვლემს და შეიძლება მისი ნახვაო.

გადმოგვცემს რა ამ ამბავს, ენგელსი განაგრძობს:

„როდესაც ჩვენ შევედით, მას ეძინა, მაგრამ ეძინა უკვე საუკუნო ძილით. მაჯისცემა და სუნთქვა გამქრალიყო. ორი წუთის განმავლობაში მან მშვიდად და უმტკივნეულოდ მიიძინა“.

ბოლოს ენგელსი აღნიშნავდა: „კაცობრიობამ ერთი თავით დაბლა დაიწია და ამასთან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თავით, როგორიც კი მას დღეს გააჩნდა“.

ხოლო მარქსის დასაფლავების დღეს, 1883 წლის 17 მარტს, ჰაიგეიტის სასაფლაოზე ფრ. ენგელსი ამბობდა:

„იგი გარდაიცვალა პატივცემული, საყვარელი, დატირებული მრავალი მილიონი რევოლუციონერი თანამებრძოლებისაგან, რომლებიც გაფანტულნი არიან მთელ ევროპასა და ამერიკაში, ციმბირის მაღაროებიდან ვიდრე კალიფორნიამდე... მისი სახელი და საქმე იცოცხლებს საუკუნეთა განმავლობაში“.

სამოცდაათი წლის წინათ წარმოითქვა ეს სიტყვები და მთელმა განვლილმა წლებმა მჭევრმეტყველურად გვიჩვენეს მარქსის მოძღვრების სიდიადე და უკვდავება.

ამ სამოცდაათი წლის მანძილზე მარქსიზმის დიადი დროშა იქცა მოწინავე კაცობრიობის ხსნისა და განთავისუფლების სიმ-

ბოლოდ. მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის, მთელი მოწინავე კაცობრიობის განთავისუფლების გზა. მარქსი და ენგელსი, პროლეტარიატის დიდი მასწავლებლები — ვკითხულობთ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, — პირველნი იყვნენ, რომლებმაც წინააღმდეგ სოციალისტ-უტოპისტებისა, დაამტკიცეს, რომ სოციალიზმი მეოცნებეთა (უტოპისტთა) გამონაგონი კი არ არის, არამედ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების აუცილებელი შედეგია. მათ გვიჩვენეს, რომ კაპიტალისტური წყობილება დაეცემა ისევე, როგორც დაეცა ბატონყმური წყობილება, რომ კაპიტალიზმი თვითვე ჰქმნის თავის მესაფლავეს პროლეტარიატის სახით. მათ გვიჩვენეს, რომ მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე იხსნის კაცობრიობას კაპიტალიზმისაგან, ექსპლოატაციისაგან.

მარქსი და ენგელსი ასწავლიდნენ პროლეტარიატს შეეგნო თავისი ძალები, შეეგნო თავისი კლასობრივი ინტერესები და გაერთიანებულიყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონები და მეცნიერულად დაამტკიცეს, რომ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას, ამ საზოგადოებაში კლასობრივ ბრძოლას გარდუვალად უნდა მოჰყვეს კაპიტალიზმის დაცემა, პროლეტარიატის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურა.

მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ კაპიტალის ძალაუფლებისაგან თავის დაღწევა და კაპიტალისტური საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად შეუძლებელია მშვიდობიანი გზით, რომ ამის მიღწევა მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ რევოლუციური ძალდატანების გამოყენებით ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარული რევოლუციის გზით, თავისი პოლიტიკური ბატონობის—პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით, რომელმაც უნდა დათრგუნოს ექსპლოატატორთა საზოგადოება.

მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ სამრეწველო პროლეტარიატი წარმოადგენს კაპიტალისტური საზოგადოების ყველაზე რევოლუციურ და ამიტომ — ყველაზე მოწინავე კლასს, რომ მხოლოდ ისეთ კლასს, როგორიც არის პროლეტარიატი, შეუძლია შემოიკრიბოს გარშემო კაპიტალიზმით უკმაყოფილო ყველა ძალები და წაიყვანოს ისინი იერიშზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ძველი სამყარო რომ დაამარცხოს და შეჰქმნას ახალი უკლასო საზოგადოება, პროლეტარიატს უნდა ჰყავდეს თავისი საკუთარი მუშური პარტია, რომელსაც მარქსი და ენგელსი კომუნისტურ პარტიას უწოდებდნენ.

მარქსმა და ენგელსმა შეაიარაღეს მუშათა კლასი რევოლუციური თეორიით, დიალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გავერკვეთ ვითარებაში, გავიგოთ გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განვჭვრიტოთ მოვლენათა მსვლელობა და გამოვიცნოთ არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსის მოძღვრება, ახალ ისტორიულ ვითარებაში დიაცვეს, განავითარეს და უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს მოწინავე კაცობრიობის ბრძენმა ბელადებმა — ლენინმა და სტალინმა. ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით დაამარცხა ყველა ჯურის მტრები, ესერების, მენშევიკების, ანარქისტების, ნაციონალისტების პარტიები; მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით გააცამტვერა ჩვენმა დიადმა პარტიამ ყველა ჯურის კაპიტულანტები, ტროცკისტულ-ბუხარინული არამზადები; მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით გაიმარჯვა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ამ დროშით ააშენა ჩვენმა ხალხმა სოციალიზმის ბრწყინვალე შენობა.

დღევანდელ ისტორიულ ვითარებაში, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში ამხანაგმა სტალინმა განავითარა და წინ წასწია მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. ამხანაგ სტალინის ნაშრომები — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ამხანაგ სტალინის გენიალური სიტყვა, წარმოთქმული XIX ყრილობის დასკვნითს სხდომაზე წარმოადგენს ახალ ფასდაუდებელ განძს მარქსიზმ-ლენინიზმის საუნჯეში, რომელიც უნათებს ჩვენს ხალხს კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ წინსვლის გზას.

„აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა“, — ამ სტრიქონებით იწყებოდა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. კომუნიზმის გარიჟრაჟი უკვე დაჰნათის ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელ მიდამოებს; მტკიცედ დადგნენ სოციალიზმის გზაზე სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში; მათს ბედნიერ ხვედრს შენატრიან მსოფლიოს ის ხალხებიც, რომლებიც ჯერ ისევ გმინავენ მომაკვდავი იმპერიალიზმის უღელქვეშ. მთელი მსოფლიოს ხალხები ირაზმებიან სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად და არავითარ შავბნელ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს მოწინავე კაცობრიობის ეს დაუცხრომელი სწრაფვა ნათელი მომავლისაკენ.

ათასგვარ მახინაციებს მიმართავენ იმპერიალიზმის მესვეურები, რათა შეაფერხონ ჩვენი წინსვლა, მაგრამ ამაოა მტრის ცდა. კომუნისტური პარტია რაზმავს და ზრდის ჩვენს ხალხს შემტევი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით. პარტია გვასწავლის კიდევ უფრო გავამახვილოთ ჩვენი სიფხიზლე, უფრო მტკიცედ ვიდგეთ კომუნისტური იდეურობის სადარაჯოზე, შეურიგებლად ვებრძოლოთ მარქსიზმისათვის უცხო იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლენას.

კაცობრიობის ისტორია გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

კლემენტ გოტვალდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРАЛА, 19 მარტი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის ხალხი გამოეთხოვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს და რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს.

მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, სტუდენტები, ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები მიდიოდნენ პრაღის გრადის ესპანური დარბაზისაკენ, რომ უკანასკნელად დაენახათ თავიანთი მასწავლებლისა და ბელადის ძვირფასი სახე. ახლოვდება 10 საათი. დარბაზში შესვლის უკანასკნელი წუთებია. საპატიო ყარაულში დგებიან კლემენტ გოტვალდის თანამებრძოლები —ანტონინ ზაპოტოცკი, ვილემ შიროკი, იაროსლავ დოლანსკი, ალექსი ჩეპიჩკა, კარელ ბაცილეკი, ვაცლავ კოპეცკი, ანტონინ ნოვოტნი.

* * *

ახლოვდება 13 საათი. ესპანურ დარბაზში შედიან მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ანტონინ ზაპოტოცკის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მთავრობათა დელეგაციები და კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, რომელნიც უცხოეთიდან ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის დაკრძალვაზე. დარბაზში უკვე არიან ეროვნული კრების დეპუტატები, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატიურ მისიათა წარმომადგენლები, რომელნიც თავიანთი მთავრობების ოფიციალური წარმომადგენლები არიან რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის დაკრძალვაზე.

დარბაზში არიან აგრეთვე მიცვალებულის ნათესავები და ახლობლები.

კუბოსთან ყოველ სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული.

13 საათია. ხუთი წუთით წყდება მთელი მოძრაობა და მუშაობა ჩეხოსლოვაკიაში. გაისმის ქარხნების, ფაბრიკებისა და ორთქლმავლების საყვირთა ხმა.

ესპანურ დარბაზში კლემენტ გოტვალდის კუბოს წინ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვილემ შიროკი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სახელით სამგლოვიარო სიტყვას ამბობს.

13 საათი და 25 წუთია. კლემენტ გოტვალდის თანამებრძოლნი — ანტონინ ზაპოტოცკი, ვილემ შიროკი, იაროსლავ დოლანსკი, ალექსი ჩეპიჩკა, კარელ ბაცილეკი, ვაცლავ კოპეცკი, ანტონინ ნოვოტნი და მთავრობათა დელეგაციების წევრები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მარშალი ნ. ა. ბულგანინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენლაი, პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბოლესლავ ბერუტი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ცედენბალი ფრთხილად იღებენ კუბოს და გამოაქვთ ესპანური დარბაზიდან. კუბოს კლემენტ გოტვალდის ცხედრით დგამენ საარტილერიო ლაფეტზე, და სამგლოვიარო პროცესია მიემართება ლენინის მოედნისაკენ ხალხით გაჭედილი ქუჩებით. ლენინის მოედანზე ჩამწკრივებულია ჯარის ნაწილები, სახალხო მილიციის ნაწილები იმისათვის, რომ უკანასკნელი პატივი სცენ ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს. კუბოს პრეზიდენტის ცხედრით დგამენ ტრიბუნასთან, რომელსაც ჩაუარეს ჯარებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდი მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და ყველა მშრომელს, რომ 14 მარტს დღის 11 საათზე პრაღაში ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ჩეხოსლოვაკიის ხალხთა საყვარელი ბელადი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი ამხანაგი კლემენტ გოტვალდი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ვაცლავის მოედანი. სამგლოვიარო პროცესია მიდის ეროვნული მუზეუმისაკენ. აქ კუბოს კლემენტ გოტვალდის ცხედრით იღებენ ლაფეტიდან და დგამენ მაღლობზე.

პრემიერ-მინისტრის მოადგილე ანტონინ ნოვოტნი ხსნის სამგლოვიარო მიტინგს.

პრემიერ-მინისტრი ანტონინ ზაპოტოცკი ამბობს სამგლოვიარო სიტყვას, რომელიც კლემენტ გოტვალდის ანდერძისადმი ჩეხოსლოვაკიის ხალხის ერთგულების ფიცია.

სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მარშალმა ნ. ა. ბულგანინმა.

გაისმის საარტილერიო სალუტის ზალპები. სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. დახრილი დროშებით მანქანებით ჩაუარეს კუბოს ჯარებმა და უკანასკნელი პატივი სცეს თავიანთ უმაღლეს მთავარსარდალს, რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს.

კუბოს კლემენტ გოტვალდის ცხედრით კვლავ დგამენ საარტილერიო ლაფეტზე, და სამგლოვიარო პროცესია მიდის ეროვნული განთავისუფლების ძეგლ-მუზეუმისაკენ ვიტკოვის მთაზე, სადაც მაგზოლეუმში მოთავსდება სარკოფაგი კლემენტ გოტვალდის ცხედრით.

19 საათი და 20 წუთია. სამხედრო ესკორტის გენერლები კუბოს კლემენტ გოტვალდის ცხედრით იღებენ ქვემეხის ლაფეტიდან და მთავრობის წევრების, უცხოეთის მთავრობათა დელეგაციების თანხლებით მიასვენებენ ეროვნული განთავისუფლების ძეგლ-მუზეუმში.

19 საათსა და 38 წუთზე კუბო კლემენტ გოტვალდის ცხედრით დადგმულია მავზოლეუმში. გაისმის «ინტერნაციონალი», გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი დიდად გლოვობს აუნაზღაურებელ დანაკლისს. იგი არასოდეს არ დაივიწყებს თავისი სახელოვანი შვილისა და ჩეხოსლოვაკიის ბელადის—კლემენტ გოტვალდის სახელს, მუდამ ირაზმება იმ დროშის გარშემო, რომელიც მაღლა ეჭირა კლემენტ გოტვალდს.

რედაქტორის მაგიერ—ვ. ჭელიძე

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | **გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-53 წ. გამომც. № 404 | ნაბეჭდი ფურც. 3½ | ტირაჟი — 15.000 | შეკვეთის № 136 | უე 00483

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

1953 წლის 6 მარტს ქ. გორის მშრომელებმა დიდლაადრიან მიაშურეს იმ სახლს, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ი. ბ. სტალინმა.



ფასი 3 მან.

62/68

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი 1953 წლის 9 მარტს ბერიას მიცვალებაზე.